

BUSINESS CONSULTING

შპს რიკო ფეი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიში.....	8
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს რიკო ფეის („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოპერაციების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და საწესდებო კაპიტალის ცვლილებების შედეგებს ამ დროს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და განმარტავს კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობას ფასს-თან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და ისეთი კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას თაღლითობისა თუ შეცდომით გამოწვეული მატერიალური უზუსტობების გამორიცხვით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 11 ივნისს:

ხელმძღვანელობის სახელით




მარიამ დგალი

დირექტორი

11 ივნისი, 2025 წ

თბილისი, საქართველო


თამილა შუბირიძე

მთავარი ბუღალტერი

11 ივნისი, 2025 წ

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს რიკო ფეი (ს/კ 405413529) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შედეგების შესახებ

შპს „რიკო ფეი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელებს:

აუდიტის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს „რიკო ფეი“-ს (ს/კ 405413529) („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვას. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური საქმიანობისა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენი მოსაზრებით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „რიკო ფეი“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იმ შიდა კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც მენეჯმენტის აზრით დაკავშირებულია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომელიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. ფინანსური ანგარიშგები სმომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ ჩვენი აზრის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის ამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულსკეპტიციზმს. ამასთან ერთად: ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება განხორციელდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის შექანიზმის დარღვევის გზით.

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას ჯგუფში არსებული შიდა კონტროლის შექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვემდებარებოდეს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების, მისი განმარტებების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოდგენს ფინანსური ანგარიშგება ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს.

ჩვენ, სხვა საკითხებთან ერთად, ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან პირებებს.

კონსტანტინე ჭანტურიძე
შპს ბიზნეს კონსალტინგის სახელით

2025 წლის 11 ივნისი
თბილისი, საქართველო




ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

აქტივები	მენიშვნა	2024 31 დეკემბერი	2023 31 დეკემბერი
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	3	1 565 656	139 862
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	1 056 332	2 082 966
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		24 932	14 139
სულ მიმდინარე აქტივები		2 646 920	2 236 967
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1 686 026	243 717
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 686 026	243 717
სულ აქტივები:		4 332 946	2 480 684
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	683 788	574 984
გადასახდელი პროცენტები		1 502	
ნასესხები თანხები	6	842 040	
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		41 175	65 529
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		11 394	
სულ მოკლევადიანი		1 579 898	640 513
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		2 753 048	1 840 171
სულ საკუთარი კაპიტალი		2 753 048	1 840 171
სულ საკუთარი კაპიტალი და		4 332 946	2 480 684

ხელმძღვანელობის სახელით


მარიამ დავაშვილი
დირექტორი
11 ივნისი, 2025 წ
თბილისი, საქართველო


თამილა შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი
11 ივნისი, 2025 წ
თბილისი, საქართველო

შპს რიკო ფეი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	2024 31 დეკემბერი	2023 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები			
-მომსახურების გაყიდვიდან	8	2 287 876	1 952 800
სულ ნეტო ამონაგები		2 287 876	1 952 800
ბანკის საკომისიო		(547)	(151)
საკომისიო ხარჯი (ნუმუსი)		(145)	(373)
საკონსულტაციო ხარჯი		(3 362)	(32 753)
პროგრამული მომსახურების ხარჯი		(112 388)	(99 977)
შრომის ანაზღაურება		(703 251)	(813 023)
ცვეთა		(119 882)	(19 250)
იჯარა		(24 900)	(24 900)
თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები		-	(1 540)
სხვა ხარჯები		(416 687)	(88 239)
სულ საოპერაციო ხარჯი		(1 381 163)	(1 080 206)
სულ საოპერაციო მოგება		906 713	872 594
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(8)	588
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(34)	
საპროცენტო შემოსავალი		11 777	4 909
საპროცენტო ხარჯი		(1 572)	
სანქცია ჯარიმა საურავი		(4 000)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		912 877	878 091
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/ზარალი		912 877	878 091

ხელმძღვანელობის სახელით

მარიამ დვალი
დირექტორი
11 ივნისი, 2025 წ
თბილისი, საქართველო

თამილა შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი
11 ივნისი, 2025 წ
თბილისი, საქართველო


შპს რიკო ფეი


ფულადი ნაკადების ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა	2024 წელი 31 დეკემბერი	2023 წელი 31 დეკემბერი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	912 877	878 091
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		
კორექტირებები:		
ცვეთა და მორტიზაცია	119 882	19 250
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში	1 032 759	897 341
ცვლილებამდე		
კლება/ზრდა:		
ცვლილებები მარაგში	1 026 633	853 523
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	108 804	162 829
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10 792	6 643
მიმდინარე აქტივი/ვალდებულება	24 354	65 529
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	1 502	-
გადასახდელი პროცენტები	11 394	22 119
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2 145 945	256 700
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	1 562 192	204 716
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	1 562 192	204 716
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	842 040	
გადახდილი სესხი	842 040	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	1 425 794	51 984
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	139 862	87 878
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1 565 656	139 862

ხელმძღვანელობის სახელით


მარიამ დვალთი
დირექტორი
11 ივნისი, 2025 წ
თბილისი, საქართველო


თამილა შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი
11 ივნისი, 2025 წ
თბილისი, საქართველო

შპს რიკო ფეი


კაპიტალის ცვლილებების ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

აპირაქათის მოძრაობა	საწესდებო კაპიტალი	მოგება/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	962 080	962 080
მიმდინარე პერიოდის მოგება		878 091	
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			
გაცემული დივიდენდი			
სხვა ცვლილებები			
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1 840 171	1 840 171
მიმდინარე პერიოდის მოგება		912 877	
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			
გაცემული დივიდენდი			
სხვა ცვლილებები			
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 753 048	2 753 048

ხელმძღვანელობის სახელით


მარიამ დვალი
დირექტორი
11 ივნისი, 2025 წ
თბილისი, საქართველო


თამილა შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი
11 ივნისი, 2025 წ
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რიკო ფეი („კომპანია“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა საქართველოში 2020 წლის 23 სექტემბერი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი: მალხაზ ციხისთავი, 01030023696 თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: ნოდარ ჯაველიძე, 01024062365 წევრი: მინდია ბურდული, 20001010461

დირექტორი მარიამ დვალი, 01005027643

შპს რიკო ფეი წარმოადგენს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, რომელიც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., N 70, სადარბაზო 2, ბინა N25

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

უწყვეტი საწარმოს პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას უწყვეტი საწარმოს პრინციპით, რაც გულისხმობს, რომ კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებათა დაფარვას. წინამდებარე შეფასებისათვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის ზეგავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის ხელმძღვანელობა არ გეგმავს კომპანიის საქმიანობის შეწყვეტას ან საქმიანობის მასშტაბის შემცირებას. ასევე არ არსებობს სხვა რაიმე გარემოება, რომელიც საეჭვოს გახდიდა კომპანიის უნარს გააგრძელოს ფუნქციონირება უახლოეს მომავალში. შესაბამისად, კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი საწარმოს დაშვების პრინციპით.

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია; ეა) წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას და ვ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას. სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ფასს -ის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტებისადმი ფასს -ის მოთხოვნა კომპანიას დაეცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ: ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს: ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით; ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც

აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

ცვეთა.

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი. ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც საღირცხვო შეფასების ცვლილება. აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მომსახურების რეალიზაციის აღრიცხვა.

მომსახურების შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ; ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში; გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საკურსო სხვაობების აღიარება.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა ოპერაციები უცხოურ ვალუტაში მოთხოვნათა შესაბამისად.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა.

უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს.

სავალუტო ანგარიშებით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა.

ბუღალტრული აღრიცხვა უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს შესაბამის ვალუტებში. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადადის - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.

დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი, ვინაიდან, განხორციელებული განაცემების მიმართ არცერთი სტანდარტი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში.

ოჯარის აღრიცხვა.

იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

კომპანია, როგორც მოიჯარე საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი გადასახდელები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

კომპანია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი არ არის.

საშემოსავლო გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში - შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში; ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 - ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით. ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. დივიდენდები იბეგრება 130-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

კომპანია არ იყენებს ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არსებულ ფასს-ებს, რომელთა ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2024
GEL/USD	2.6894	2.8068
GEL/EUR	2.9753	2.9306

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით, როდესაც მანამდე მოქმედი მოდელით დაბეგვრამდე მოგებას 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, მოგება კომპანიაში რჩებოდა თუ გაიცემოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ის კომპანიასაც მიემართება. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხულ მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებული იქნეს მათგან.

გარდა განაწილებული მოგების გადასახადისა, სხვა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“. ახალი რეგულაციის შედეგად კომპანია არ არიცხავს გადასახადს მიღებულ მოგებას და მოგების გადასახადს მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში იხდის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადაგასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ან აცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არ სებითად შეცვლილი პირობებით, ანარსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს წვრილ ფულს, საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულს, ფული გამოყენების შეზღუდვებით, დეპოზიტები, რომელთა დაუყოვნებლივი გამოთხოვა შესაძლებელია ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებზედაც არ ვრცელდება საპროცენტო განაკვეთი, აღირიცხება ნომინალური ოდენობით. მომავალში ამოღების გარეშე დარჩენილი თანხების შესაბამისი რეზერვი აისახება მოგება-ზარალში, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია. აღიარებული რეზერვი გამოითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულებას შორის სხვაობიდან, რაც დისკონტირდება პირველადი აღიარების დროს მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ოდენობით.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი აღირიცხება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდი შესაბამისად აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შენიშვნები

(3) ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. კომპანიას აქვს ანგარიში სს საქართველოს ბანკში, სს თიბისი ბანკში, სს ლიბერთი ბანკში

შემდეგ ვალუტებში: ქართული ლარი, ამერიკული დოლარი, ევრო.

ბანკის ნაშთების ჩამონათვალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.24	31.12.23
ნაღდი ფული საღაროში ლარებში	701 700	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	863 956	139 862
	1 565 656	139 862

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.24	31.12.23
მოთხოვნები ბანკომატებიდან	220 722	1 444 000
მოთხოვნები ტერმინალიდან და ონლაინ გადახდებიდან	350 214	980
დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები		
მოთხოვნები წინასწარი გადახდის ბარათებიდან	291 281	548 113
მოთხოვნები ავანსებიდან	194 115	89 873
	1 056 332	2 082 966

5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.24	31.12.23
ვალდებულებები ტერმინალიდან და ონლაინ გადახდებიდან	457 143	574 984
ვალდებულებები წინასწარი გადახდის ბარათებიდან	226 644	-
	683 788	574 984

6. ნასესხები თანხები

31.12.24

ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხები

842 040

842 040

2024 წლის 24 დეკემბერის სესხის ხელშეკრულება 100000 ლარის ოდენობით.

2024 წლის 24 დეკემბერის სესხის ხელშეკრულება 300000 დოლარის ოდენობით.

7. შემოსავალი

31.12.24

31.12.23

საკომისიო შემოსავალი (ონლაინ გადახდები)

612 270

423 694

საკომისიო შემოსავალი (ფეი აპარატით განხორციელებული გადახდები)

1 527 940

1 358 375

გაცემული თამასუქის სარგებელი

146 128

167 796

საკომისიო კომუნალური გადახდებიდან

367

842

საკომისიოს შემოსავალი

1 000

2 093

შემოსავლები დანარჩენი ოპერაციებიდან

-

-

ონფერტაციიდან მიღებული შემოსავალი

84

-

ბანკომატის საკომისიო Liberty

75

-

შემოსავლები საბარათე ოპერაციებზე VISA

11

-

2 287 876

1 952 800

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 2025 წლის 11 ივნისს.